

მით — მისით რიგის ფორმები ჩართული

ძველმა ქართულმა ისტორიამდელი ქართულისაგან მემკვიდრეობით მიიღო სახელთა ბრუნების კარგად განვითარებული სისტემა. ამ ფონზე ყურადღებას იქცევს I და II პირის ნაცვალსახელთა უბრუნველობის დღემდე შემორჩენილი ფაქტები.

III პირის (ჩვენებითმ) ნაცვალსახელებმა ადრევე აუბეს მხარი საზოგადო სახელთა ბრუნებას, I და II პირის ნაცვალსახელებმა კი ამოსავალი ვითარება შემოინახეს. ხელშესახები სხვაობის მიუხედავად, სამივე პირის ნაცვალსახელთა პარადიგმების ჩამოყალიბება ერთი ბრინჯიშით წარიმართა: უბრუნველობის საკომიქტნაციოდ ენამ გამოიყენა სათანადო კუთვნილებითთა ბრუნებადი ფორმები — მათ პირის ნაცვალსახელთა ფუნქციაც დაკისრა. ამ გზით აღმოჩნდა, მაგალითად, ჩემით და მისთანა ფორმები პირის ნაცვალსახელთა პარადიგმების სრულფლებიან წევრებიდ მოქმედებითში:

სახ. მე(ნ) — ჩენ; შენ — თქვენ; ის(ი) — ისინი.

მოქმ. ჩემით — ჩენით; შენით — თქვენით; (ი) ისით — (ი) მათით.

შემუშავდა ნასესხებ კუთვნილებით ნაცვალსახელთა სისტემა, სადაც განირჩევა: ა. „ნათესაობითის ბადალ“ ფორმებზე დაყრდნობილი მოქმედებითი (I, II პირის ნაცვალსახელებისათვის); ჩემით — ჩენით და მისთ.; ბ. ნათესაობითზე დაყრდნობილი მოქმედებითი (III პირისა და ზოგი სხვა ნაცვალსახელისათვის); მისით — მათით და მისთ.

I, II პირის ნაცვალსახელთა მოქმედებითში მხოლოდ კუთვნილებითთაგან ნასესხები ფორმები გვაქვს, III პირისა და ანალოგიური სტრუქტურის ნაცვალსახელებისთვის — საკუთარი ფორმებიც: მე — ჩემით, მაგრამ: ის — იმით/იმისთ. მაშასადამე, მოქმედებითის ცალი ფორმების გვერდით აღინიშნება წყვილ-წყვილი ფორმებიც.

ჩენ ძირითადად ვისაუბრებო მეორე რიგის, ე. ი. პარალელიზმით დახასიათებულ ფორმათა სისტემაზე (შედარებისათვის მიგმარ-

		III პირის (ჩვენებთვი)				უკუკცემო		განაზღიანი	
		ქოთხველი				ტექსტი		სხვ.	
ა.თრია	გვ.	რა	ქ	რა	ქ	ტექსტი	ტექსტი	სხვ.	
პრ.	(-ქ)	(-ქ)	(-ქ)	(-ქ)	(-ქ)	-ო	-ო	-ო	-ო
მოქ.	აბ.	*ჭით	კუხაო	რაი	რისია	მაგრა ნით	დმილი	მისი	თა- კო
	პრ.	(ცინ- ტო)	(ცინ- ტო)	რახები	—	მაგრა- ბით	დმილი	—	სხვ.
	ასძღვ.			რაები	აშილი	მაგრა- ბით	მისი	მისი	სხვ-

16. ქართული სიტყვის კულტურის საკოთხები, IV

1 სუფრქვეული მოთხოველი შრატლობის -შპიანი და -თანიანი ფორმების ქანა-უქონლობა (-ნარანი შრატლობის ჩვენებთვის სინტერესი წევნოვანი არ აისა- ხება, თუ მხელველისაში არ მაჟოლები არის განვითარებული). მაგნონი, იტიზნია, დალუქელუ- ვარიანტებს).

თავთ ჩემით რიგის მასალასაც). საკუთრივ III პირის (ჩეენებით) ნაცვალსახელთა გარდა, ამ სისტემას მასდევენ უკუმცევითი „თავი“, განსახლვრებითი „სხვა“ და კითხვითი „უინ“, „რა“ ნაცვალსახელები.

სათანადო ფორმების ტაბულა ზემოთ არის წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ ვინ, რა, თავი, სხვა ნაცვალსახელების პარალიგმები ერთ (საკუთარ) ფუძეს იყენების, III პირის (ჩეენებითი) ნაცვალსახელები. სუბლეტივიზმით ხასრათდება — ორ ფუძიანია ამა, მაგა, იმა დეიქტურნაწილაკიან ფუძეებს სახელობითში ენაცვლება ესე, ეგვ, ისი/იგი ფუძეები. ამ მხრივ გამონაცლისია არადეიქტური მან. „საკუთარი სახელობითი არ გააჩნია მესამე პირის ნაცვალსახელს მან: სესხულობს ჩეენებით ნაცვალსახელს ის//იგი“².

ტაბულაზე ჩანს, რომ მოქმედებითში ნაცვალსახელთა პარალიგლური ფორმები — საკუთარი (მოკლე) და კუთვნილებითისგან ნასესხები (ცრცელი) — ორსავე რიცხვში თოხ-თოხ (და მეტ) ფორმას ვარაუდობს. მაგალითად, მოქმედებითში ეს/ამან ნაცვალსახელის ვარიანტული წყვილებია: ამით — ამისით; ამაებით (ამეებით) — ამათთით (ამგენით). წევრთა სიმრავლით ნიშანდობლივი ეს სისტემა ყველა ნაცვალსახელს სრული არა აქვს.

ფორმათა ნაცლებობის გარდა, ზოგი ნაცვალსახელი სხვა მხრივი არის თავისებური. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნაცვალსახელები ქმნიან ერთი მოდელის ფორმათა წყებას, რომელთაც მთ — გიათ სისტემის სახელით მოვისენიებთ.

მთ — მისით რიგის მოქმედებითის ფორმათა სისტემა ერთბაზად არ ამოქმედებულა. კონკრეტული ენობრივი სიტუაციები შეაპირობებდა მისი წევრების მეტ-ნაცლები სიხშირით რეალიზებას. ცეცლ ქართულშივე გვხვდება I, II პირის ნაცვალსახელთათვის ნასესხები ჩემით რიგის ფორმები. ი. იმნაიშვილი წერს:

„როგორც იშვიათი ფორმა, უნდა დაგასახელოთ შენითურთ. იგი პირის ნაცვალსახელის შესანაცვლებლად არის ნახმარი და ნიშნავს: შენიანად, შენთან ერთად: „და მისცეს უფალმან ისრაცლი შენით ურთ კელთა უცხო-თესლობა ხვალე ამის ჟამისა წინა, I მეტ. 28, 19“³.

2 არნ. ჩიქობაგა, ქართული ენის ზოგადი დახმარებები. ქაგლ, 1, თბ., 1950, გვ. 044.

3 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 517.

შენით(ურთ) და მისთანანი სხვა წყაროებშიც იძებნება:

ნესადა ოჯო ქალაქიცა ესე, — პრეუა, — წარწყმდეს შენით და ჩემი თურთ (მეტ. 413, 14). განმაძლარ ვარ აღ თქუენითა (პარამ. ეს. I, 14). ორა მეღ ცეცხლნელოთ მის თანა ძალისაგან მღერთისა თქუენით ურთ (პალ. 215,4 AB). და, მითვე სასოგბითა მინდა... ოჯო შენით (თქუენ მიკრ CD) წასლვად⁴ მაკელონიად და კულად მაკელონიამ მოსლვად თქუენ დავე და თქუენ მიცერ წარგზავნებად პურასტანად (იქვე, 169 AB). **შრო.** უკავეთუ ესრე, კრევა ყრჩას მას, ვითარმედ შენითვან მიმართ მარე-იძიე [ისარი], ალევა და ივლოდე. რამეთუ წარგზავნა შენ უფალმან (მცხ. II, მეტ. I 20, 22).

I, II პირის უბრუნველ ნაცვალსახელებს არ მოქმედებოდა საკუთარი ფორმები, ამიტომ ვასაგებია, რომ დანაკელისი ფორმები და მოქმედებითიც ჩემით რიგის ნასესხობებით შეივსეს. მა მხრივ სხვაგვარი იყო III პირის ნაცვალსახელთა უითარება. მაგალითად, მან ნაცვალ სახელი საკუთარი ჰქონდა მით, მითურთ, მითურთით მოქმედებითის ფორმები და თითქოს აღარც სჭირდებოდა მისით (მისითურთ) რიგის ნასესხები ფორმები, მაგრამ ახალი სისტემა დაბეჭითებით მიითხვდა ყველა შესაძლებელი ფორმის რეალიზებას და ჩემით რიგის ფორმათა გვერდით ჩნდება. მისით რიგის ფორმებიც. სისტემის ამ წევრთა არსებობა ბუნებრივად სვამს ვისით კითხვა-ფორმის საკითხსაც.

როგორ ხდებოდა კუთვნილებით ნაცვალსახელთა პირის ნიცვალ-სახელების ფუნქციით დატვირთვა — რა იყო მით — მისით პარალელურ ფორმათა ერთფუნქციურობის საფუძველი?

კუთვნილებითთა პირის ნაცვალსახელებს როლში გამოსვლისათვის, ხელი უნდა შეეწყო თავი, სული, ბირი და სხვა საზღვრული არსებითებს შემცველი ნაცვალსახელური წყვილების გვერდით სათანადო ცალების ფუნქციონირებას; ქველ ქართულში ჩნდება და შემდგომ თანდათან იცხება მონაცელე ენობრივ საშუალებათა სისტემა:

თავით თვისით (მისით) — თავით, თვთ, თვოონ

[თავად(ი), თავისოვალ] } იტყვს
თვისით, მისით } იტყვს

დაუიმოწმოთ ტექსტი:

ოდეს იყავ ჭაბუქ, შეირტყო თავით თვისით და სკლონი, გადრეცა ვნებავნ (მ. 21,18DE). შდრ. ვა ყრმა იყავ, თავით შეირტყო სარტყელი და მისუედი, ვა ვნებავნ (იქვე, C). და თავი ადი თვის (თვის C) განვიღოდა შორის სამარისა და გალილეასა (ლ. 17,11). ჭუჭალო, კითარცა მე შემიწყალუ, მის ძა შემიწყალუ იგიცა (პატ. 11, 276,17). შდრ. მოიყიდეს მით აგარიკი მეცეცისა (მ. 27,7).

⁴ ტექსტშია წახვლად.

⁵ აქ საინტერესოა მიმართება: ვითარცა (ვისითაცვა) — მისითა რაოდ.

მისით ფორმა გვერდში ამოუდგა ენაში ძველთაგანვე ცნობილ მით ფორმას. გაჩნდა მით — მისით ფორმათა ოპოზიცია, უკეთ, მით — მისით ოპოზიციურ წყვილთა სისტემა, რომელმაც ნელ-ნელა მოიცვა არა მხოლოდ ერთგვარი სტრუქტურის ნიკლულპარადიგმებიანი პირის ნაცვალსახელები, არამედ თავისთვადი, სრული პარადიგმების მქონე ნაცვალსახელებიც.

მისით მოდელის ცალმაგი ფორმების გვერდია ქართულში ჩვეულებრივია სათანადო მსახლვრელ-სტრულის ტიპის საშუალებებიც.

მოვიდა თუსა ჩემი თორნეჟ და მისითა გზითი (მის გამო H) დითო შეღლათ შთავარდი (გვ. II 55,14). და ამათითა საშუალობითა იწარმოებგან უსრულო კეთილ წესერად (პიტრ. I, 42,12). ვითომ იმ ქალს თავისის გუნებით წამოსწევდა (რუს. 592). მითითა ბრალით ეარ ესრეთ (რუს. 382). თუ იქნება, თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო (ილია, II, 260). უისძ პირი თ შეუთველო, სითა გავაკებინო (ა. ყაზბ. I, 105). მისი პირით მშე ლაპარაკობდა (გ. ზაქ. 26).

ამგვარი ნაცვალსახელური წყვილები ქმნიან სემანტიკურ-სტილის-ტიყურად საინტერესო მიმართებებს, მაგრამ მათ შესახებ აქ ვრცელდ ვერ კიმსჯელებთ. სიტყვას გავაგრძელებთ მისით მოდელის ცალებზე — საანალიზო სისტემის ვიზით, მისით, თავისით, ხევისით კონკრეტულ წევრებზე.

1. ვისით კითხვა-ფორმა.

ვისით „ვინ“ ნაცვალსახელის მოქმედებითისთვის ნასესხები კუთვნილებითის ფორმაა. საკუთარი, სისტემით ნავარაუდევი ვით ფორმა მხოლოდ ზმნისართის ან თანდებულის ფუნქციით გვჭვდება ენაში. იგი ვინ-ის მოქმედებითად აღდგინა ნ. მარმა ვითარ, ვითარცა, ვითარშედ გაქვეყნებული ფორმების მიხედვით⁶.

ვინ-ს არც მრავლობითი აქვს (იშვიათად შეიძლება გაუჩნდეს დიალექტური ვინებით და არქაული ვითით ფორმები), ამიტომ ვისით ერთადერთი პარადიგმული ფორმაა ვინ-ის მოქმედებოთში.

ვინ ჯგუფის სახელთა მოქმედებითი, საკუთარ სახელთა ძველქართული ფორმები დავითისით და მისთანანი⁷ თავისთვად გულისხმობს ვინ/ვან ნაცვალსახელთა პარადიგმებში ვისით — მისით ფორმებს:

იშვიათის მოქმედებითი, საკუთარ სახელთა ძველქართული ფორმები დავითისით და მისთანანი⁷ თავისთვად გულისხმობს ვინ/ვან ნაცვალსახელთა პარადიგმებში ვისით — მისით ფორმებს:

⁶ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, [М.]-Л., 1923, гл. 102.

⁷ ა. იმნაიზეილი, დასახ. შტ., გვ. 375—378.

ნეკოფერან ვინმე ურთიერთის ერთიანება უკუკ დგომითა, ხოლო სხვანა ჭდომითა (არჩ. 70,23). შდრ. უთხრა: „პიოვეა, პატივი ნახენ ძებნითა ვისითა?“ (ც. ტ. 695,4).

საშუალი ქართულის ძეგლები ამკვიდრებენ ვისით ფორმას:

აწ შენ იღარა მყავ! ვისითა ვიშუებდე, ვისითა ვლხინიანბდე! (ფასრ. 160,9). აქმდის ვისითა ყოფილ ვარ მომდირა, და ვისდა უკანა დგომილ ვარ (ფასრ. 257,14). ამისი მგზავი სიცრუე, არ ვიცა, ვისით მოიცე (არჩ. I, 23). იმერნი, კანი, ქართველნი, ვისითაც შემონდა ქართლნი (არჩ. I, 67). მე კაცს ვერა ერებავ და შენობასა და ციხე-ქალაქთა, ვის ვდითხო და ანუ ვისითა გავაგო? (რუს. 552,38). აქა-აქ იხევლეთა [მონატიტ], თუცა უსე საქმე ვისით მომიხდაორი? (ხაბა, II, 363). ვისით იხვავლეორი? (ხაბა, II, 134). ვინათვან სახელნი და აღშენებანი ვისით იქმნა ქუცენისა ამის, დაცულებრენით (ვახ. 305). არამედ არა არს უწყებულა ვისით აღშენდა პირველ (ვახ. 367,3). ვისმინო, ვისით შეკენა ორის. გზით მაკურთხევლი! (თეატ. II, 126).

მე-19 საუკუნის მწერლობაში ბუნებრივია ამგვარი ვისით. ვაჟა-ფშაველისთან კითხულობა:

მასი [ქიჩირბეს] ბორმა ჰელის ასლანსა, ჭავრი იყაროს ვისითა? (II, 136). ჟენით ვამაყობდი და დღეის შემდეგ ვისით და ვამაყორი! (IV, 61).

დღევანდილ ქართულში თავისუფლად იხმარება ვისით. იგი საგრძნობლად გახშირდა პრესის მასალებში, განსაკუთრებით — პოეტურ სტრიქონებში.

უურნალი „ციხეარი“:

ვისითაც ქვეყნად დავალ და სული მიღდგას პირში, არ მახსოვს (№ 9, 1981, 73). ან კა ვისით გაიგოს ქარმა, რომ დღის და ღამის გასაყართან სულ ვით გშორდები (№ 3, 1985, 96).

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“:

ის ქალი, ვისით სავსე ცყო პიეტის ნათელი სევდა, იმ ხანად ციმბირში იმ-ყოფებოდა (9. 9.83). და ნე შეიძევ, ესუნთქავ ვისით (23.11.84). ისინი დამემ-დურნენ, ვისითაც გაერთო სოფელი (10.8.84). ამოცურდა ვერცხლის მოვარე, ნერა ვისითათ (24.5.85).

სხვა გაზეთები:

დღისანს აცოცხლის ის მოხუცი კაცები, ვისითაც დღეს ხელშრეთს კიდევ ეთქმის ხელშრეთბა („ახ. კომ.“ 12.2.83). აი, ვისით უნდა ალიშალის ჩეენი ახალგაზრდობა (ახ. კომ.“ 22.7.86). შოთას სადარი არავინ არცო, ენდა სხვებმა გვათხრან, ვისით ესახელებათ თავიო („ალაზ. განთ.“ 9.9.86).

ანალოგიური ნიმუშები შეიძლება დავისახელოთ ხალხური პოეზიიდან, ყოველდღიური საუბრიდან:

ერთ ალაგსა, დიდ მინდოორსა ვნახე სახლი აგებული, ნეტა, კი სით აგებული? (კხა X, 70). კი ისით დაიწყოთ ვამციოთხევა? შასწავლებლები ივად იყვნენ და ვერა კი ისით შეკვეალეთ, გაცდათ (ხატბ.).

ვისით კითხვა ვინ-ის მოქმედებითის ერთადერთი ფორმაა. იგი ბუნებრივია საწერლო თუ სასაუბრო ენაში და, მაშასადამე, ვინ-ის პარადიგმაშიც.

2. მისით სისტემის ფორმები

აღინიშნა, რომ მან ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმად მით ვარიანტი ძველთაგანვე მოსდევს ენას:

რამეთუ რომლითა საწყალითა ჰწყვიდეთ, მითვე მოგეწყოს თქუენ (მრ. 4,24 C). ხოლო პორეილთამ არა თავს-იდეა წმიდამან შემანიკ ვიდრე აღსასრულამდე მით ურთ (აგ. I, 22,18). და ყოველი, რომელი შეიყუარენ მითურთ (მითურთი O), რომელი გძულლეს (ცხ. 16,37 C).

მან-ის მოქმედებითის ფუნქციით იტვირთება პარალელურად მისით — მათით კუთვნილებითის ფორმებიც. მისით ნასესხები ფორმა ექი-იქ ჩნდება ძველი ქართულის ტექსტებში და თანდათან იყიდებს ფეხს გარდამავალი პერიოდის აღრეული ხანის ძეგლებში:

მისითა ძალმწერ მიყვანებითა ყოველივე... მორჩილ თქსა ყვნა (მეტ. 204,18). მისითა შეიწყალუ იგივე (პატ. II, 276,17). ნუთუ ვანმე ყმა დირჩო-მილიგოს მისი და მისითა გენათო (პარ. 19,3). რაცა მიძუღის, მითითა ცოცხალ იყო (ცისრ. 125). მე ად მოყუარეთა შემაგონეს, მითითა მიეპმართე ვორაბს (ცისრ. 252,16).

ვისით ფორმის მსგავსად. მისით ფორმაც გზაგაძვალულია ე. წ. საშუალ ქართულში:

ა) ჩემსა ნურავინ ნუ იტყვის, მისით მოგვესმა ჩვენ ყურსა (არჩ. I, 61). მისით ხედვენ იმა სრათა (ფერ. 66). ჭვის გულის მქონის გონება მისით მომილბო, მითხარო (ხაზა, II₁, 222). ჭკვიანნი მისით კეთილსა სახელია გაითქმენ (ხაზა, II₂, 121).

ბ) ვერა ვირვე მე მათითა (არჩ. II, 130). ტახტი დასკალეს შათითა (ფერ. 65). განვლო მათით დაბანისევევი (ვახ. 709).

მე-19 საუკუნის მწერლობაში ძალზე გაერცელდა მისით — მათით ფორმები:

ა) მისით მიღია სული (აყავი, VIII, 182). თუ კიდევ რამ სხეაც მომწონდა მისით და მის გამო (აყავი, VII, 314). იმისგან პყვირის ირემი, მისით დაფრინავს შევეღია, მის განა გალობს ბულბული, მისგნითვე მწვანობს ვილა, 246

ი მ ი ს გ ა ნ ხარობს შუცება — უკანასკნელი მწერით ცვალა, 141)⁸. ქვეყანა ვისით შვერცერდებოდა (ა. ყაზბ. IV, 35).

ბ) იქნება ქართველთ მწერლობა ღმერთით მათით ააზებს (ილა, I, 117). ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მითით (აკაკ., VIII, 283). მითით მდიდრდებან (აკაკ., I, 107). ოოლად წაეს მათითაც (აკაკ., II, 324). მითით მოელი წიგნია გავსებული (ი. გოგ. I, 324).

ეს ფორმები ხშირია დღევანდელ სამწერლო ენაში, პრესის მისა-ლებში:

ვკელამაზება სამშობლო, მისით გული გვაქვს დაბტყბარი (გ. ლეონ.). არც შენ გაიტარო ცხოვრება ულამდამოდ, მისით დატყბარუნდი, მისით ვიმსკვალე (ო. ჭელ.). ყველა მათა და ყველა ნანა მისგან და მისითაც („ლიტ. საქ.“ 1.1.82), მათით არავინ ალამაზებს ვიტცხლისა და ზროლის გაზებს („ლიტ. საქ.“ 15.8.80).

მან ნაცვალსახელს ქართულში გვერდით უდგას ამან, მაგან, იმან III პირის ჩვენებითი ნაცვალსახელები. შესაბამისად, მოქმედებითში გვაქვს მით — მისით/მათით არადეიქტურ და ამით — ამისით/ამათით რიგის დეიქტურ ფორმათა წყება. გამოყენების სიხშირით ჭარბობს ზისით არადეიქტური ვარიანტი, ამისით და მისთანანი უფრო ნაკლებად გვხდება:

ა) ამისით ისნნა გან სული (არჩ. I, 48). უამისოდ ყოველი დიდი საქმე შეირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია (ილა, IV, 246). ფაბრიკა თუ შეუშაობს, მაგისითა ა. მერაბის: ერთხელ ადრე წამოვიდა და სულ ერთად ყვი-ლადერი (საუბ.).

ბ) ამ ათით ხელი არ ჩავცველით (არჩ. I, 28). და ამათითა შენცა გა-ნერ სოფლისა მის ღელვათა დანთქმისაგან (საბა, III, 22). ამათით შეერთო ქართველთა განცხრომა (ვახ. 439). ხელი ამათით გაერთობოდნენ (ო. ჩხ.). მა-გა ათით იქცება ჩემოვის მთელი ხმელეთი („ბათქ.“ 10.7.80). ქვეყანა კაცოთა, ჭარბი კაცით, იმათით, ვისც დღევანდელი ფლე უხარით („ლიტ. საქ.“ 23.9.83).

მაშასადამე, ენაში გაჩნდა მით — მისით ფორმათა პარალელური ქვესისტემები: ა) საკუთარი — მით რიგისა: ამით — ამაგბით (ამებით), მაგით — მაგაებით (მაგეებით), იმით — იმაებით (იმეებით) და ბ) ნასე სხები — მისით რიგისა: ამისით — ამათით, მაგისით — მაგათით, იმისით — იმათით.

მით და მისით ქვესისტემების აქტიურობა სხვადასხვა პერიოდის ქართულში სხვადასხვანირია. სახელდობრ, მით, ამით, მაგით, იმით ფორმების მოხმარების არეს თანდათან ავიწროებს მისით, ამისით, მაგისით, იმისით — მათით, ამათით, მაგათით, იმათით ფორმათა სისტემა. ეს უკანასკნელი ნასესხებ, ვრცელ ფორმებს გვავაზობს, მაგრამ,

⁸ ვ ვ ე ბ ა ს ამ მაგალითში ნაცვალსახელებით ივულისხმება შინაგანი ენერგია ვნებათი დელა ა. ე. ქარალელურია: (ი) მისგან(ა), მისით და მისგნით ფორმები.

სამავიეროდ, სრულია — ორივე რიცხვის ფორმები აქვს: პირის ნაცვალსახელისთვის ბუნებრივი - თანიანი მრავლობითი მხოლოდითის პარალელურად ეწირმოებათ მაშინ, როგორც საყუთარ ფუქსები და ყურდნობილი - ებიანი მრავლობითი გვიანდა შემოდის სასაუბროდან სალიტერატურო ენაში და ჭრაც დიალექტური ელფერისაა. უფრო მეტიც მან ნაცვალსახელი საზოგადოდ კერძოდ იყენებს - ებ სუფიქსს.

პირის ჩევნებით ნაცვალსახელთა - ებიანი მრავლობითის ნომუშები დაძებნილი აქვს ლ. კვაჭაძეს:

„ე გეები იმანაც იცოდა“ (ილია); „ამა, ე გეები არ იყოს!“ (რ. გვეტ); „ამა გეებს ყური აღარ ათხოვა“ (ილია); „რაში გესაჭიროება ამაების გაგვა?“ (ი. ნინ).⁹

შესაბამისად მოქმედებითში ივარაუდება ამაებით (ამეებით), მაგაებით (მაგეებით), იმაებით (იმეებით). ამგვარი ლიტერატურული მაგალითები ჩვენ ხელი არა გვქონდა. ისინი ორცოდ იშვიათია საუბარები:

აბა, მაგეებით როვორ უნდა გაიტანო თვით! ამეებით იქ კერძოვნებები. ე მაგეებით შინ კი მალწევ?

ამ რიგის - ებიანი ფორმები უპერსპექტივო ჩანს თვისი სასაუბრო-დიალექტური შეფერილობის გამო. ამიტომ სალიტერატურო ენას სათანადო - თანიანი ნაცვალები ფორმები კარლები მათთვის ყალიბისა.

3. თავისით, სხვისით ფორმებით

მიხით ნაცვალსახელის მოდელის მიხედვით მოგვიანებით შემუშავდა თავისით, სხვისით ფორმებიც.

ძველ ქართულში თვისით სისტემატურად ენაცვლებოდა ჩემით რიგის ფორმებს „თავის“ - საზღვრულიან წყვილებში: თავით თვისით — თავით ჩემით (შენით, მისით....). ასე გარემოში თავისით ძველ ქართულშივე უნდა განმარტოებულიყო ჩემით, შენით, მისით ფორმათა ანალოგიურად, მაგრამ თავისით „თვითონ“ - ის მნიშვნელობით ძველში არ ჩანს. აქ ურედუქციონ თავით ფორმის გვერდით იხმარება რედუცირებული თვით. გვიან ჩენდება ჭრ თვითონ და შემდეგ თავისით ფორმებიც. ამ უკანასკნელის ანტონიმურ მეწყვილედ გვევლინება ენაში სხვა ნაცვალსახელის სხვისით ფორმა.

თავისით, სხვისით ფორმები, განსაკუთრებით კი თავისით, ძალზე გავრცელებულია აბალ ქართულში. ისინი ხშირია ილიას ნაშერებში:

⁹ ლ. კვეტაძე, ქართული ენა, I, თბ., 1981, გვ. 207.

ა) საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაედობულია ას (IV, 322). ამისა-
თანა ერს უცილებელ ბედად ის უშერია, რომ... სხვისით იცხოვრის (V, 174).
სხვისით სხვა გამოამტკეო (VIII, 159). არ გადვირჩენ სხვისით თავსა (I,
202). სხვისით ცხოვრება ცველას გვიყვარს (II, 460).

ბ) ცველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი (VIII, 159). ამიტომც ბანკი
თავისით იმ მიზულს ვეღარ გაჲყიდის (X, 150). ჩვენმა თავტრმა თავისით
ჩაიდგა სული, გარედამ შემწეობა არავისგან შეონია (VIII, 11). ნუთუ ჰკონიათ,
რომ ბანკი თავისით დადის და თავისით მოქმედობს? (V, 156).

დავიმოწმოთ სხვა მასალაც:

ა) მწერლობიდან:

ამბობს: „ნეტვერ ეს ვაშლი თავისით ჩამოვარდესო“ (აფარ, IV, 42). თა-
ვისით ხმა არ დაწყევეტილა სიმები? (აფარ, VII, 259). ამან თავისით შეიტა-
ნა... წინააღმდება ქართული ენის სწავლების გაძლიერების შესახებ (ი. გოგ. I,
390). თავისით მოვა ბეჭი (დ. კულ. II, 12). მხოლოდ ძველი ქრის ადგილზე
თავისით ბროჭეული ამოვარვარებულყავ. ცვევილინი ხე ამოსულყავ თავი-
სით! (გ. ლეონ. 263). რაში თავისით გაფრინდეს (გ. ლეონ. 224).

ბ) პრეხიდან:

თავისით ცვეგა [ვაჭი] („ლიტ. ხაქ.“ 22.6.84). თითქოს სიყალშემ ქარი ლია
ნახა, თავისით შემოვიდა და სუფრასთან ჩამოვდა („კომ.“ 3.8.79). მშენებლე-
ბო, გრაფიკი თავისით არ სრულდება („კომ. 8.4.64). ქარიც თავისით დაი-
ხერებოდა („ლიტ. ხაქ.“ 22.4.88).

გ) დიალექტური ტექსტებიდან:

ისმ თავისით წამოვარდებო (ქ. ძოწ. 347). დანით შემოსერილი თავი-
სით ამოვარდებო (დღიულ. 514). დაძრული მატყლი თავისით გადაიკვლიუება-
ვი (მთაულ. 217). პური... კაჭლს თავისით ამშორდა (კახ. 50). და თავი-
სით რო ვამოვარდება ხოლმე ქლიავი, ხო ძალიან გემრიელი არი (ქიზ).

დასაცლურ კილოებში და აქედან სამწერლო ქართულშიც თავი-
სით ფორმის ნაცვლად მისით ფორმაა ზოგჯერ გამოყენებული:

რას მეფერებით, ბატონ, ის მწე მისით მობრძანდა თევენთინ (ნ. დუშბ.;
304). [კალმახი] მისით ამუა, ავერ ვარო? (გ. ბერძ.).

თავისით ცველაზე აქტიური ფორმაა მისით მოდელის ფორმე-
ბიდან. იგი ცოველდღიური სიტყვაა თვით, თვითონ, თვად, თავის-
თავად სინონიმური რიგისა. კონტრექსტში ჩვეულებრივია მათი მონა-
ცვლება; გვერდიგვერდ ხმარება:

ფაქტი... თვითონ, თავისითავად, აუსნელად ჰკივის და ლიადები
(ი. გოგ. I, 223). ბაგენბობის ბორგილი თავისით, თავისთავად შედება
(ო. ჭილ.). ბანტა თავისით ამოვიდა. შინდიც ამოვიდა თავისთავადი
(ო. ჩბ.).

თავით — თავისით, სხვით — სხვისით წყვილების მრავლობით-ში: თავებით შესაძლებელია, მაგრამ არ გვეკვება; სხვებით გავრცელებულია ენაში; სხვისით ფორმის არ უხერხდება სათანადო ცალი; თავისით სიტყვას იშვიათიდ უჩნდება -ან-სუფიქსიან ფუძეს დაყრდნობილი -თანიანი ფორმა:

— ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდან [ბრძანდებით]! — არა მარტო ლამაზი ქალებით, დიდო პოეტო, სახვებითაც („ლიტ. ხაქ.“ 22.4.88). თითონ რისი მაქნისია, სულ სახვებით გააქცის თავი (ხაუბ.). ესენი თავიანთით ხომ ვერ ამოგშლილნენ სიიდან, იმათა ჰქითხვდნენ, უფროსება (ხაუბ.).

* * *

ჩვენ წარმოვადგინეთ მოქმედებითში მისით მოდელის ნაცვალ-სახელურ ფორმათა გავრცელება-დამკვიდრების საინტერესო სურათი. მისით რიგის ნასესხობანი მხოლოდ მოქმედებითით არ ითარგლება. ისინი მთლიანად მსჭვალავენ პირის ნაცვალსახელთა პარადიგმებს. მით — მისით ფორმათა სისტემის ანალოგიური მაღ — მისად სისტემა გვაქვს, მაგალითად, კითარებითშიც. სათანადო ფორმები საგვებით გზაგავეალული არ არის (ხოგი მათგანი საერთოდ არ რეალიზდება), მაგრამ სისტემა მაინც ხელშესახებია.

სესხების სისტემური ხასიათის მიუხედავად, კუთვნილებითი ფორმებისადმი დამოკიდებულება სხვადასხვანირია ქართული ენის გრამატიკებში: ზოგს ისინი პირის ნაცვალსახელთა პარადიგმების წევრებად მიაჩნია, ზოგს — არა. არიან, ავტორებიც, რომელთაც ერთ-ტიპობრივი პარადიგმების ნაწილი შევსებული აქვთ ნასესხები ფორმებით, ნაწილი — არა.

პირის ნაცვალსახელებს ბრუნების სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ნაირი გზა აქვთ გავლილი — ფორმებს ივერბდნენ სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან — და მათს პარადიგმებში კანონიერია პირის ნაცვალსახელთა ფუნქციით დატვირთული ნასესხები წევრები. წასესხები ფორმები, ხელს რებენ რა მსახურელობაზე, ემიჭებიან კუთვნილებით ნაცვალსახელებს და გვევლინებიან პირის ნაცვალსახელთა ამა თუ იმ ბრუნეის ფუნქციებთ. ჩვენს შემთხვევაში მისით რიგის ფორმებს, მით რიგის ფორმათა მსგავსად, ეკისრება უმთავრესად საჭურვლის, თანაობის, გამოსვლის, როლი:

შევლევირნი... მისით [ტერმინით] იღნიშნავენ ქართული მწერლობის გრამატიკულ პერიოდს (რ. თვარ. 40). უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამ მით კი ყოველი პირისაც დიდია (ილია, IV, 246). უშველი ამთათ გასრულს

ძიება, ხეჭონის (კრი. I, 163). შდრ. სრულ ჩვენ რადა ვართ ტანგეაში, კვერსა რად
იმის ჩვენითი? (ვაჟა, II, 72).

* * *

მისით მოდელის ნახესხობათა შესწავლა, მორფოლოგიურს გარდა, სეიმს სტილისტიკურ-სემანტიკურ, ორთოგრაფიულსა თუ სხვა
საკითხებს.

სემანტიკური დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ მისით რიგის ფორმებია ქარგად ეხმარება ზოგი ზმნის შინაარსს. ისინი ხშირად ამაყობს, ხარობს, ლინიობს, სულდგმულობს, ცოცხლობს, ცხოვრობს, სარგებლობს, იწყება და მისთანა ზმნებთან; მაგალითად:

ა) ვისითღა, ვიაშყო? (ვაჟა, IV, 61). თთოეულ ახალგაზრდას შეუძლია იამყოს მისით („ა. კომ.“ II.9.79). მისით ამაყობდნენ [შევობრები] („ლიტ. ხაქ.“ 11.7.80). მე მისით ვაშყობდა („ლიტ. ხაქ.“ 12.2.82). ახლა თანასოფლულები მისით ამაყობდნენ („ლიტ. ხაქ.“ 6.11.84). გარდინიამი მოწოდება და მისით სიამყენ ჩვენდაუნებურად, სულიერი გვნივით გადმოდის ჩვენში („ა. კომ.“ 4.10.85). ვოლცამ ზომ უნდა იამყოს მათით („ლიტ. ხაქ.“ 10.2.84).

ბ) მისით ხარობენ სიმხნესა ზედა გებულნი (არჩ. I, 104). მისით იხარებს სოფელი (არჩ. I, 183). მარად მისით ვიხარო (გ. ლეონ.). მათით ვიხარებ (უცხ. 807). მათით ჰარობდა (აკაკი, III, 202).

გ) ვისითაც... სული მიღდას (ტ. ბერურ, 73). მისით სული მიღდა (ავაკო, X, 13). ცხოვრების უშთავეს აზრს მაინც პოეზიაში მშოგებდა, მისით სულდგმულობდა („ლიტ. ხაქ.“ 26.6.87). ამათით სულგრძელობს აქ ძეგლი ყოველი („ალაზნ. განთ.“ 25.8.81).

*
* * *

სემანტიკური მონაცემები, ერთფუნქციურ ფორმათა სიმრავლე, პარალელიზმი მსჯელობის საგანდა აქცევს მათს ტექსტში განაწილებას. შეინიშნება, რომ ფორმათა შერჩევა ხდება სათანადო სახელის კლასის გათვალისწინებით: მით „რა“ კლასის სახელებზე მიუთითებს ხშირად (რით? — მით), მისით კა „ვინ“ კლასისაზე (ვისით? — მისით), განაწილების ეს წესია მოქმედი მასალაში:

ა) რით? — მით, ამით, მაგით, იმით — რიმეთი (იგულისხმება რომელიმე საგანი, მოვლენა, მდგომარეობა):

3. ტ.:

ღმერბმან ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ ჭაწყმინდოს (306,3). პირსა მითი იუარვადა (1530,2). მიართმევს და იმით არჩებს (999,3).

ილა:

რითი ჩამოუვარდება ეს „რუხი მგელი“ კეტხეის-ტყაოსანის მარტო იმით, რომ აიღებ თუ არა, გადავდებ (III, 409).

გაჭ. „კომუნისტი“:

საგარიონშა ხომ მარტოოფენ იმით არ გამოიხატება, რომ ლა-პარაკი შეიძლება ცველაფერზე, ... არამედ იმითაც — უწინარესად იგა-თაც, რომ თუნდაც ერთ რომელიმე საკითხზე ცველი ვამოთქვას აჩინ (20.1.88).

ბ) ვისით? — მისით (მათით), ამისით (ამათით), მაგისით (მაგა-თით), იმისით (იმათით) — ვინმეთი:

მისით (მამისგან) 10 ცველულა სიკედილი (არჩ. I, 58). მისით (არჩილით) შეუნის გზა და კუალი (ფერ. 163). თუ კიდევ რამ სხვაც მომწონდა მისით (თი-ნათინით) და მის გამო (აკაკი, VII, 314). რაზეან მიზეზი კმუნკის და ლენინის ვიზრ-ძენით მისით (ილიათი) და მისით კპოვეთ (ბ. შალვ. 24). ის [ტარიული] მოელს სამუარს ნესტანის კუთხით უყურებდა, მისით იყო შეცყრობილი („ლით. ხავ.“ 16.9.83). ინსტიტუტი მა წერილის შემდეგ მანიც დაინტერესდება, მისით (მერია-შეილით) („ახ. კომ.“ 23.1.88). განაკუთრებით მასისებს: „ცისარისა“ და „მნათობ-ში“ დინჯად რომ შემოვიდოდა, როგორ ლამაზებოდოდა მისით ცველავერი (ლიტ. ხავ.“ 11.7.80). სოფელიც მისით (მარებით) სოფლობს თოვეოს („ლაზენ. განი.“ 28.10.86). და ყოველსაც სამშერნისა თვითია ფანაგბენ მითით (მოხუცებულე-ბით) (ვახ. 640). მათით (დედებით) იყო ხავართველო ძლიერი და ბეჭინერი (აკა-კი, II, 212). [ბიჭებს] არ მოსწონო, მათით რომ ოლტოროვანდებიან ხოლმე („ახ. კომ.“ 18.2.88). მათით (შეილებით) პხარიბდა, შათხე პუიქრობდა (აკა-კი, III, 292).

მით — მისით ფორმათა სათანადო სახელის კლასის მიხედვით განაწილებას ხელს უწყობს მათი სტრუქტურული იდენტურობა: რით — ვისით კითხვა-ფორმებთან. მიუხედავად ამისა, ფორმათა შერჩევის აღნიშვნული პრინციპი ხშირად დარღვეულია: მით ფორმის აღრესატი „ვინ“ კლასის სახელია, მისით ფორმისა კი — „რა“ კლა-სისა:

ა) ერთი შეილი მყავს, ხაყარელი და სანატრელი... იმითა მიღება უძლურს ტანში უძლური სული (ილია, I, 151). მე კოცხლობდი იმით (ნინოთი) (ა. ყავბ. IV, 378). იმით, შეილით, თავის მოტანა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ის ღირ-სეული მოქალაქეა (ხაუბ.).

ბ) მას ერთი კუერნა ჰყვა, ხახლი მისი მისის იმედით იცვებოდა: ყოვ-ლის საფრთხილოსაგან მისით უქმიშრად იყენენ (ხაბა, II, 50). ამ მიწას როგორ არ ცეც თაყვანი, ეს მისით არის, რაც მიხარია (დ. ივარდ.). ერთმა ნაცონმებმა ახალგაზრდა კაცმა დაკარგა თავისი უბრალობა და მისით მონიცებული ბეღ-ნიერება („ლიტ. ხავ.“ 10. 7.87). პირველიდ მისით (ამ წიგნით) შევიტყვე, რა მღილარია ხევსურული პოეტური პზროვნება („ლიტ. ხავ.“ 27.2.87). ხალხი მისით (ქანდაკებით) აღტაცებაში მოდიოდა („ლიტ. ხავ.“ 31.8.84). „ბოროტს არს არა აქვს, ის კეთილის შემთხვევითობაა“ და მისით კე იორგუნება („ლიტ. ხავ.“ 8.2. 85). პირველშიბილი სილამაზეა, მისით კე გაძლები („ლიტ. ხავ.“ 10.8.79).

ეს მშე ერთა ყველასთვის, ყველა ვართ მისით გამომდარი (ქხ 12. 113). სენ-ტენციური მოთხრობანი მხოლოდ მაშინ არიან მაკებელნი, როდესაც მათით მთელი წიგნია ვაკებული (ი. გოგ. I, 324). მითით (ყვავილებით) მხიარულება ენიშვება გამვლელებს (ი. აბულ. 67).

მისით — მათით ფორმითი ორივე კლასის სახელისთვის გამოყენება შეინიშნება ერთი მწერლის მასალაშიც. სულხან-საბასთან ვკი-თხულობთ:

წალკოტს ზისით (ხით) აქვს შევნება (II₂, 59). მეტები ამათით (ნივთებით) თავი უმაღლესად მოჰქონდა (II₂, 205). შდრ. რომ იმტრატორი მოკუდეს უშვილოთ, იმათ ით (იმათგან) გამოირიცოს და დაჭდეს (I, 249).

ანალოგიური ვითარებაა დ. კლდიაშვილის თხზულებებშიც:

ქართული ენა შევნებით საესეა... მისით მშევნეორად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკეთება (II, 292). შდრ. მისი (ჯორჯიაშვილის) წყვალობით, ვთელი მე, შემჩრია სიცოცექლე, მისით მოვატანე დღემდე ცოცხალია (II, 266). მათაკო... მათით (ნათესავებით) თავმომწოდებს (I, 287).

მით — მისით ფორმათა განაწილების წესს მისდევს **სხვით** — **სხვისით** წყვილიც. ილიასთან ორივეს ნიმუშები აღირიცხება:

ა) ეს „რუხი მგელი“ ვეფხვის-ტუაოსანი... სხვით ხომ არაფრით [ჩაოუვარება]! (III, 409).

ბ) ჩველაზედ მავნებელი[ა] — სხვისით ცხოვრება (II, 460). სხვისით ცხოვრებენ, მართალია (II, 462).

სხვისით ფორმა იყულისხმება და ლექსის ზომის დამაცავად **სხვით** ფორმაა მოხმობილი ვატანგ VI-ის ერთ სტრიქონში:

შენით ვერა იქ, სხვით შერები, ყორბა მოსაწყენანი (118).

ჩვენი მოდელის კითხვა-ფორმებიდან მხოლობითში რეალიზდება მხოლოდ რით — ვისით წევრები! სწორედ ამ დაცილებული ფორმების ოპოზიცია უკარნახებს ენას ნაცვალსახელურ ფორმათა შერჩევის წესს, რაც თავის მხრივ გულისხმობს სტრუქტურულად საბირისპირო პასუხი-ფორმების არსებობს. უამისონდ არ დგება მოცილე ფორმითა საკითხი. ასე, მაგალითად, თავისით ფორმა თავისუფალია მით — მისით, სხვით — სხვისით ფორმათა განაწილების წესისგან: იგი თანაბრად იხმარება „ვინ“ თუ „რა“ კლასის (სულიერთა თუ უსულოთა) სახელების მიმართ.

თავისით ცალად გარჩენილი ფორმა თავით (|| თვით) — თავისით წყვილისა: „თავით“ თავისით ფორმის შინაარსით სალიტერატურო ქირთულმა აღარ იცის.

11 რით — რისით ოპოზიციის უიშვიათესი რისით წევრის რასით ფორმა შევვხდა ხალხურ პოეზიაში: „რა რ ასით მოიტან [სვილს]?... უნდა დაკაზმო ვირები“ (ქხ 12, 196).

(დიალექტებშია მხოლოდ შემონახული: ინგილოურში, აჭარულში, ფშაურსა და ხევსურულში); თვით გაქცევებულშა ფორმამ არქაული ელფერი შეიძინა, მის ნაცვლად ენას მოეძალა „თვითონ“, რომლის შექმედებითთან კავშირი დავიწყებულია. ამასთან, თვით, თვითონ ფორმებიც პარალელურად გაქტიურებულია. თავად, თავისთავად ვითარებითში გაყინული სინონიმური წყვილი. ამიტომ თავისთავ ფორმას რით — ვისით კითხვების ნაცვლად როგორ კითხვა შეეხამა, რის გამოც, მან ვერ გაიზიარა მით — მისით ფორმების განაწილების წესი. ამგვარი ნეიტრალობით აიხსნება, რომ „თავისით ამოვიდა“ წყვილთან თანაბრად შესაძლებელია სუბიექტად ხეც, ფრინველაც, მგზავრიც.

როგორც ვხედავთ, ერთი მოდელის ფორმითა ჩვენება სხვადასხვაგვარია: თ(ა)ვით — თავისით არ მიჰყება, ხოლო მით — მისით და სხვით — სხვისით წყვილები ძირითადად იცავს სათანადო სახელის კლასის მიხედვით განაწილების წესს. ამ მხრივ უგამონაკლისოა ვისით და შესაბამისი I, II პირის ფორმები: ჩემით — ჩვენით, შენით, თქვენით; ისინი „ვინ“ კლასის (აღამიანთა ანდა გაადამიანებულ) სახელებს გულისხმონ ჩვეულებრივ.

შენიშნული ენობრივი ტენდენცია სწორ ალლოს ემყარება და, გამონაკლისებისა და წესის შეზღუდულობის მიუხედავად, ვაძლევს მოცილე ფორმათა ორთოგრაფიული შეტჩევის საფუძველს. რეკომენდაცია შეიძლება მიცეს მისით — სხვისით ფორმათა „ვინ“ კლასის სახელებისთვის, ხოლო მით — სხვით ფორმითა „რა“ კლასის სახელებისათვის გამოყენებას მხოლოდ მითში. მრავლობითში ასეთ არჩევანს მყარი ნიადაგი არ უჩინს: -ებიანი ფორმები (ამაებით, მაგაებით, იმაებით) დიალექტურ-სასაუბრო ელფერისაა და ამის გამო ორთვე კლასის სახელებისთვის უპირატესობა აქვს -თანიან ნასესხებ ფორმებს (ამათით, მაგათით, იმათით, მათით) ეს სტილისტიკური ნიუანსები რომ არა, -ებიანი ვარიანტები უპრიანი იქნებოდა „რა“ კლასის სახელებისთვის, ხოლო -თანიანი — „ვინ“ კლასის სახელებისთვის.